# სახალხო გაზეთი

№ 820 ხამშაბათი, 12 თებერვალი 1913 წ. № 820

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


## სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

### სურათებიანი დამატება

(კვირაობით)

**პრემიად** 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ორი წიგნი**

1) **უცხოეთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—**კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.
2) **ქართველი ერის ისტორია,** პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

გაზეთის ფასი წლიწადში **8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარეთ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარეთ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.

**ათი შაური** უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

**წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით**

**მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება:**

1) **„სახალხო გაზეთი"-ს კანტორაში,** სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2 **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში,**
3 **ფოსტით:** Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.

---

მწუხარებით გულმოკლული **ეკატერინე ზაქარიას ასული, ანნა მალაქიას ასული და გიორგი მიხეილის ძე მამაცაშვილები,** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მძიმე და ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის გულით საყვარელი შვილი, მეორისა—მაზლი, ხოლო მესამისა—ძმა, მეორე საკომერციო სკოლის მოწაფე

**იოსებ მიხეილის ძე მამაცაშვილი.**

მიცვალებულის გამოსვენება საკუთარ ბინიდან (ჩერქეზიშვილის (ავჭალის) ქუჩა, № 41) დღეს, 12 თებერვალს, დილის 9 ნახ. საათზე, ჩუღურეთის წმ. ნიკოლოოზის ეკლესიაში. დასაფლავება იმავე დღეს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 104.

---

**დიმიტრი ივანეს ძე და ბარბარე მიხეილის ასული ლოლაძენი შვილებითურთ** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველისა საყვარელი სიმამრიშვილი, მეორისა—ძმა, ხოლო მესამისა—ბიძა, მეორე საკომერციო სასწავლებლის მოწაფე

**იოსებ მიხეილის ძე მამაცაშვილი**

განსვენებულის ბინაზე, ჩერქეზიშვილის (ავჭალის) ქუჩა № 41. ცხედარს გამოასვენებენ დღეს, 12 თებერვალს, დილის 9 ნახ. საათზე, ჩუღურეთის წმ. ნიკოლოოზის ეკლესიაში. დაკრძალვა იმავე დღეს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 104.

---

10 თებერვალს, 1913 წ., ღ. ბორჯომში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ტფილისის ქალთა მეორე გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფე

**ნინა (ლოლა) იოაკიმეს ასული გორგაძისა,**

რასაც გულდამწვარნი მშობლები: **ბლაღოჩინი მღ. იოაკიმე გორგაძე, მეუღლე მისი მარიამ ამბაკოს ასული, ბაბუა მღ. იოსებ გორგაძე, ძმა გრიგოლი დ და ნინა,** აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს; დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს, 14 თებერვალს, დილის 12 საათზედ. 106.

---

9 თებერვალს, ღამის 11 საათზე, გარდაიცვალა

**ევგენია მიხეილის ასული რომევიჩისა**

**(თავ. თუმანიშვილის ასული).**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქალიშვილი **ანნა კონსტანტინეს ასული ისარლოვისა,** სიძე **იაკობ პეტრეს ძე ისარლოვი** და **შვილის-შვილები.** პანაშვიდები დღისით 1 საათზე და საღამოს 7 საათზე. გამოსვენება 13 თებერვალს, დილის 10 საათზე განსვენებულის ბინიდან (მალო-სუდებნაია № 13), ქართველ კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის კათოლიკეთა სასაფლაოზე. 107.

---

ელენე ალექსანდრეს ასული და მისი მეუღლე დიმიტრი სვიმონის ძე ანანიაშვილი უღრმეს მადლობას სწირავენ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას, რომელმაც ღირსეული პატივი სცა განსვენებულ **მსახიობ**

**ბარბარე სოლომონის ასულ ნეზიერიძის**

ხსოვნ ს. 105.

---

## ახალი კლუბი

**სამშაბათს, 12 თებერვალს,**

## მასკარადი.

საუკეთესო ტანისამოსისა და ცეკვისათვის **4 ჯილდოა დანიშნული.** სტუმრები კლუბში შესასვლელად გადაიხდიან კაცები 1 მ, ქალები 50 კ., სტუდენტები 25 კ. **ნიღაბის ახდა ღამის 1 საათამდე არ შეიძლება.** ის მანდილოსნები, რომელთაც ღამის 1 საათამდე უნიღაბოდა ჰსურთ კლუბში ყოფნა, ჯარიმად 1 მანეთს იხდიან. **დასაწყისი საღ 9 ს.** 152

---

## ქ. გ ო რ ი.

**კვირას, 17 თებერ.** გაიმართება ფრიად **საინტერესო და ორიგინალური**

## ვოკალურ-მუსიკალურ-სალიტერატურო საღამო-მეჯლისი

მონაწილეობენ:

- **ვაჟა-ფშაველა**—ლექსები.
- **თედო რაზიკაშვილი**—ლექსები.
- **ქ-ნი ვ. ა. დავიდოვისა**—სიმღერა.
- **კ. მელვინეთ-უხუცესი**—რომანი.
- **დ. აკოფაშვილი**—სიმღერა.
- **ია ეკალაძე**—ესკიზი.
- **ი. სალრაშვილი**—თარი.
- **ნ. გოცირიძე**—სცენები.
- **ი. გრიშაშვილი**—ლექსები.
- **კინტოური და გლეხური სცენები.**

დაწვრილებით პროგრამებში. **დას წყ. საღ. 8 ს.** ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდენია. ბილეთები ამ თავითვე იყიდება: „ქართლის" რედაქციაში, ქალაქის აფთიაქში **ივ. კვალიაშვილთან** და საურთიერთო ნდობის ბანკში **ალ. ჩუტკერაშვილთან.** 1051

გამგე **ა. გძელიშვილი.**

---

# ტფილისის სავაჭრო ბანკის

## დამაარსებელთა

## საორგანიზაციო კომიტეტი

ამით იუწყება, რომ, ბანკის წესდების მე-5 § თანახმად,

ბანკის მოქმედბის დაწყებისათვის, აქციების ღირებულების ნახევარის შესავსები

**40% გადასახადი, რომელიც თითო აქციაზე 100 მან. უდრის,**

აქციონერთა ხელის შესაწყობად

**მიიღება საორგანიზაციო კომიტეტის კანცელარიაში,**

**(ბებუთოვის ქუჩა, სახლი ტფილისის ვაჭართა საზოგადოებისა, № 50),**

რათა შემდეგ წარდგენილ იქმნას სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორაში

## თ ე ბ ე რ ვ ლ ი ს 11 20-დე.

სახელმწიფო ბანკის კანტორაში 40% გარდასახადის შეტანის დროს, უნდა წარადგინოს აგრეთვე დროებითი ბარათი 10% გადახდისა და შემდეგ 40% დამატებით შეტანილ გარდახდის კვიტანციასთან ერთად უნდა წარადგინოთ საორგანიზაციო კომიტეტის კანცელარიაში, რათა სათანადო წარწერა გაუკეთონ, დროებითი მოწმობის მიცემამდე.

სხვა ქალაქების აქციონერებს შეუძლიანთ ეს შემოსატანი ფული ფოსტით გამოსცენ პირდაპირ **სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორას საორგანიზაციო კომიტეტის მიმდინარე ანგარიშებში ჩასარიცხად 30079 ნომრით,** ან კომიტეტის თავმჯდომარის

## ა რ კ ა დ ი ნ ა ზ ა რ ი ს ძ ე მ ი ლ ო ვ ი ს

**სახელობაზე,** ხოლო 10% შემოტანის დროებითი კვიტანციებიც ამასთანავე უნდა გამოგზავნონ საორგანიზაციო კომიტეტის სათანადო წარწერის მოსახდენად.

**ფულის მიღება სწარმოებს დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1½ საათამდე.** 1046

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან**

**ძმენიძის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის ხიდის ახლო.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

წოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ ჟამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **დბგითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ქირურგიული სნეულებანი. | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.)<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.<br>**ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** (სამშ. ხუთ. შაბ.) 11½ 12½. |
| ქალთა სა... და სნეულებანი. | ექიმი-ქალი **გერბიცკა-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.<br>**თოკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ხულბკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. და ელექ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.<br>**დბგითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს. |
| ყურის, ყელის და ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½<br>**თრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 1½—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენ. სნ. | **დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **„606" „914" და წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. 1135

---

**ექიმი ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებათ ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

---

*Общество Кахетинскихъ садовладѣльцевъ „Кахетія" въ Тифлисѣ*

Заявленъ М-ву Торг. и Пром.

Уставъ общества утвержденъ въ 1895 г.

№

**რადგანაც ამ უკანასკნელ დროს**

მეტად გახშირდა ჩვენი ფირმის ეტიკეტის ყალბი მიბაძულებანი, „კახეთი"-ს საზოგადოება

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ასეთ საქმის ჩამდენთ სასტიკად გამოვეკიდებით სასამართლოს წესით. 1054

---

დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოდ.

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა**

იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინით, რადიის პრეპარატებით** და **პნევმოტორაქსით.** იღებს ყოვ. დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: ხოლოდნაია ქ., ბებუთოვის ქ., № 23 (განთვის ქ. ტელეფ. კუთხე). 7 9. 97.

---

**გამოსულია და იყიდება**

**ნ. შიუკაშვილის**

პიესა **„მეგობრობა",** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

---

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

**მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გასინჯვა და გაძლიერება რენტგენის სხივებით. ვერა. ყოლდანოვის ქ. № 20.

---

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი,** **ორდინატორად ნამყოფი** კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს 5—8 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 67

---

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

---

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ესსერმანის რეაქციით** იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ერევანსკი ქ., № 9,** კიროჩნის ქუჩის ახლო, 172

## საგურთალოზე

**მშვენიერა ლბგას,** ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, ს.ხლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, **რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. ¶. 1020

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. **№ 8.** ტელეფონი **№ 695.**

**ე. ს. გაზაძე.** ყოველ დღე, შინაგანავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

**ვორობიევი.** შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ივ. გომართელი.**—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასირჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606“** 1053

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.


# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ ბ-ნი **ოლივერ უორდროპი** ამ გაზაფხულზე მეუღლითურთ საქართველოში აპირობს ჩამოსვლას.

✦ **პროფესორმა კირსოპ ლეიკმა** (Kirsopp Lake) ინახულა ათონის მთაზე მდებარე მონასტრები და განსაკუთრებით კი ქართველების ან ივერიის მონასტერი. იქ ნანახი ყოველივე დაიბეჭდა ინგლისურ ჟურნალ „The Guardian“-ში (1 აგვისტო 1906 წ.). ბ-ნი ლეიკი შარშანაც ყოფილა ათონის მთაზე, უნახავს ქართველთა მონასტერი და სამწუხაროდ, შეუნიშნავს, რომ მონასტრის წიგნთსაცავის ძვირფასი ხელნაწერები (აღწერილები ოლ. უორდროპის, ნ. მარის და ალ. ცაგარლის მიერ) სადღაც გამქრალა.

✦ პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის ბელეცკის მოხსენების თანახმად, მანიფესტით ყველა **ადმინისტრატიულ წესით დასჯილთ** გაანთავისუფლებენ.

✦ გაზეთ „რეჩ“-ს სწერენ: „ათონის ბერძნულ მონასტერთა ბერები **ათონის ნეიტრალიზაციის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებენ.** ბერები ამბობენ, ათონი საბერძნეთის ტერიტორიისა და სახელმწიფოსაგან განუყოფელიაო.

✦ **რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის იუბილეს** მოწყობის თაობაზე დღეს ტფ. საკომენდანტო სამმართველოში კომენდანტის თავმჯდომარეობით კრება ექმნება საგანგებო კომისიას, რომელშიაც ქალაქის თვით-მმართველობის წარმომადგენლად ხმ. გ. ნ. კეილია.

✦ პეტერბურგის **საეკლესიო წრეებში** ხმა დადის, ახლო მომავალში უსათუოდ პატრიარქობას აღადგენენო.

✦ **ტრამვაის** დირექციამ 9 თებერვალს ვაგონთა რიცხვი ჩვეულებრივზე ნაკლები ამუშავა. ამას გარდა ვაგონები სამუშაოდ გვიან გამოუშვა. ამის გამო ქალაქის კანტროლიორმა ა. ს. ლანდიამ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის მთავარ კანტროლიორის წინაშე, რათა ტრამვაის დირექცია 792 მან.

✦ **გარდაიცვალა** ქალაქის საბჭოს ხმოსნად ნამყოფი გენერალმაიორი არსენ ივანეს ძე ბებუთოვი, რომელიც ხმოსნად იყოს 1897 წლიდან 1907 წლამდე დ მხურვალე მონაწილეობას იღებდა ქალაქის საბჭოს მრავალ კომისიაში. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, სამძიმარი გამოუცხადოს განსვენებულის ქვრივს ოჯახს და დაესწროს მის დასაფლავებას.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნალ **„შრომის კავშირის“** მე-6—7 ნომერი შემდეგის შინაარსით: 1. მეთაური: ახალი პრესპექტივები; 2. ცისკარი, ლექსი; 3. მოსკოვის სახალხო ბანკი (პირადი შთაბეჭდილება); 4. ძმობა, ლექსი; 5. მექანიკური ფურნის მოწყობა და მისი მნიშვნელობა; 6. აბრეშუმის თესლი და საზოგადო ფარდულები; 7. კოოპერაციის გამოჩენილი პროპაგანდისტი (ბიოგრაფია); 8. კოოპერატივებისა და კოოპერატორების საქმეები ჩვენში; 9. საკოოპერაციო მოძრაობა ინგლისში (მომხმ. საზ.); 10. გურიის სამეურნეო ბანკი; 11. ოზურგეთის ხელოსანთა საკრედიტო ამხანაგობა; 12. საკრედიტო ამხანაგობების საყურადღებოდ (სახალხო ბანკისაგან); 13. კოოპერაცია შვეიცარიაში; 14. საკოოპერაციო გამოფენის ბიუროსაგან (მოწოდება); 15. მომდინარე ცხოვრება; 16. ფელეტონი: ხალხის მოსარჩლე (სცენები სოფლის ცხოვრებიდან); 17. განცხადებანი.

✦ **ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის** უფროსმა ბ-ნმა მუსელიუსმა შუამდგომლობა აღძრა ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ სამმართველოს წინაშე, რათა ვაგზლის მხარეს ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება დააარსოს.

✦ წითელ ჯვრის საზოგადოებამ სასანიტარო რაზმი გაგზავნა სოჭაში **სახადის** წინააღმდეგ ღონის-ძიებათა მისაღებად.

✦ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი **სოფ. ტარუაშვილისა „თხები და ცხვრები“—იგავ-არაკი.** წიგნს ჩართული აქვს სამი მშვენიერი სურათი ახალგაზდა მხატვარ სიდამონოვ-ერისთავის დახატული. სუფთად არის ნაბეჭდი კარგ ქაღალდზე, 32 გვერდიანია და მხოლოდ სამ შაურად ღირს.

✦ **სახალხო უნივერსიტეტის** ქართული სექცია 18 თებერვლიდან აარსებს საღამოს სისტემატიურ კურსებს მოზრდილთათვის. მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ ვერის მეორე სამოქალაქო სკოლის დარბაზში, ოლღას ქუჩა, სახლი მაჩაბლისა. დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება იქვე ყოველ-დღე საღ. 7—9 საათამდე.

✦ **ახალი ფურნეები.** როგორც ვწერდით, ერთმა ფირმამ ქალაქის რამდენსამე ადგილას ფურნეები დაარსა, სადაც პურს ½ კაპეიკით ნაკლებ ჰყიდიან არსებულ ნიხრზე. პირველ ხარისხისას ჰყიდიან 4 კაპ., მეორისას 3 ნახ. კ., მესამისას 3 კ., და შავ პურს 2 ნახ., სულ ოთხი ფურნეა. დღეში იქ აცხობენ 200 ფუთამდე პურს. ფირმას აზრად აქვს, სხვა ფურნეებიც გახსნას იმ ვარაუდით რომ დღეში 700 ფუთამდე პური გამოაცხოს. 10 თებერვალს, ღამით, ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიამ მოულოდნელად დაათვალიერა ეს ფურნეები და შენობები სუფთა, ხოლო პური კარგის თვისებისა აღმოჩნდა.

✦ **სამართალში აძლევენ** მეეტლეს სტეფანე ელიზბაროვსა და მეწვრილმანეს ფიჩხაძეს, რომელთაც პოლიციელთ ქრთამი შეაძლიეს.

✦ **მეფის მოადგილემ ნება დართო,** სომხეთა შორის კავკასიაში ფული შეაგროვონ შუშის სომეხ, გრიგორიანთა სასულიერო სემინარიის სასარგებლოდ.

✦ წარსულ იანვრის განმავლობაში ტფილისში 114 **ბოროტ მოქმედება** მომხდარა. ბოროტ-მოქმედების ადგილას შეუპყრიათ 112 კაცი. ამავ ხნის განმავლობაში ტფილისში შეუპყრიათ ყაჩაღ-მძარცველთა ჯგუფის 30 წევრი.

✦ **ტფ. გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი** 10 თებერვალს ორის თვით დასასვენებლად პარიზს გაემგზავრა.

✦ როგორც ისმის, მთავრობა ქალაქის **სასალახოს რევიზიას** ნიშნავს.

✦ **მემუსიკე ნ. პ. სულხანიშვილს** ბათუმში იწვევენ ვლ. მესხიშვილის იუბილეში ხოროთი მონაწილეობის მისაღებად.

✦ უკვალოდ დაიკარგნენ: სათადარიგო პრაპორშჩიკი მარტიჩ მ.ნიაჯი და ვასილ ბუიშვილენნო.

## ქუთაისი

✦ 12 თებერვალს, **ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი** მიდის პეტერბურგს, როგორც ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელი, რომანოვების გვარეულობის მეფობის 300 წლის საიუბილეო დღესასწაულზე დასასწრებად, სადაც დარჩება დაახლოებით თებერვლის დამლევამდე.

✦ ქალაქის საფინანსო და სამშენებლო კომისიების შეერთებულ სხდომაზე **ქალაქის მოურავს დავალა:** ისარგებლოს პეტერბურგში ყოფნით და მიიღოს საჭირო ზომები, რომ სამინისტროს მიერ, რაც შეიძლება, მალე იქმნეს დამტკიცებული ქუთაისის წყალსადენის პროექტი. ქალაქის მოურავსა და წყალსადენის კონცესიონერებს დიდი მიწერ-მოწერა აქვთ ამ ჟამად წყალსადენის პირობის პროექტის შესახებ. კონცესიონერები თხოულობენ, რომ ქალაქის თვითმმართველობამ შუამდგომლობა აღძრას სამინისტროს წინაშე დასამტკიცებლად წარდგენილი პირობის პროექტის სამიოდე მუხლის შეცვლის შესახებ; ქალაქის მოურავი კი შესაძლოდა სცნობს ასეთი შუამდგომლობის აღძვრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინდაწინვე დანამდვილებით ეცოდინება, რომ სამინისტრო თანახმა იქმნება ამ მუხლების შეცვლისა. იმ შემთხვევაში კი, თუ სამინისტრო არ დათანხმდა ამ მუხლების შეცვლაზე დ კონცესიონერებმა კი უამისოდ უარი განაცხადეს წყალსადენის კონცესიაზე, ქალაქის თვითმართველობა იმ აზრისაა, რომ წყალსადენი ოჯახურის წესით გააკეთოს. წყალსადენისათვის საჭირო ფულს, როგორც გავიგეთ, ძლიერ ხელსაყრელი პირობით აძლევენ ქალაქს.

✦ ქუთაისში მეტად **ცუდი ამინდებია;** საშინელი თოვლ-ჭყაპი და სიცივეებია. ქალაქში ძლიერ გავრცელებულია ინფლუენცია და ათასგვარი სხვა ავადმყოფობა, რომელთაც ხელს უწყობს ამგვარი ამინდები. ოჯახს ვერ ნახავთ, რომ თითო-ოროლა ავადმყოფი არ იწვეს.

✦ ქუთაისში ძლიერ **გაძვირდა** ყოველგვარი სოფლიდან შემოტანილი **სანოვაგე,** რადგანაც ცუდი ამინდებისა გამო სოფლებიდან სანოვაგის შემოტანა გაძნელებულია.

✦ ხმა დადის, სახალხო სკოლების დირექტორს კრუპსკის უარი უთქვამს ქალაქის სასკოლო კომისიის მიერ არჩეული მასწავლებლის გ. ახვლედიანის დამტკიცებაზე. ამ მასწავლებელს სულ ხუთებით (5) გაუთავებია სამასწავლებლო სემინარია-სასკოლო კომისიის მიერ დანიშნულ საკონკურსო გამოცდაზე სხვა მასწავლებლებზე უკეთესად მიუცია გაკვეთილი; ხელში აქვს იმის მოწმობაც, რომ პოლიტიკურად სრულიად „კეთილ-საიმედო“ პირია. არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ეს ხმა მართალი იყოს.

✦ როგორც გავიგეთ, ამ დღეებში ქალაქის გამგეობისა და სასანიტარო კომისიის შეერთებულ სხომაზე არჩეულ იქმნება **ქალაქის სასანიტარო ექიმი;** ბ-ნი ჩარექოვი კი განთავისუფლებული იქნება სასანიტარო ექიმის მოვალეობისაგან და დაეკისრება მხოლოდ გადამდებ სენიანთა საავადმყოფოს მმართველობა. ეს საავადმყოფო ორპირის ქუჩიდან უნდა გადატანილ იქნეს საღორიის აგარაკში და მოეწყოს ქალაქის ახალი საავადმყოფოს მახლობლად.

✦ ქალაქის გამგეობის წევრისათვის წლიურად 2100 მანეთის დანიშვნა და გამგეობის წევრის (სიმონ ქვარიანის) არჩევნები უკვე დასამტკიცებლად ბ-ნს გუბერნატორს წარედგინა.

✦ **საკრედიტო დაწესებულებათა** რიცხვი ქუთაისის გუბერნიაში მატულობს. ქუთაისის მაზრაში ამ ჟამად არის 33 წვრილი საკრედიტო ამხ., შორაპნისაში კი—13. ამ რიცხვს მიემატება ახლად დამტკიცებული ბაღდად-სადემეტრაოს, სვირის, კიცხის სახერე-ჩიხის ამხანაგობები.

✦ ქუთაისის გუბერნიის საკრედიტო დაწესებულების ინსპექტორმა 8—9 თებერვალს ქუთაისის ხელოსანთა საკრედიტო ამხანაგობას რევიზია გაუკეთა.

✦ 8 თებერვალს, ქუთაისის საოლქო სასამართლოში გაირჩა სამხედრო ექიმის **ალექსანდრე ასათიანის** საქმე, რომელსაც ბრალდებოდა ხელით ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მასწავლებლის ბ-ნ ოსტროუმოვის შეურაცხყოფა. სასამართლომ ექიმ ასათიანს ერთი თვით სამხედრო ჰაუპტვახტში დამწყვდევა მიუსაჯა.

✦ „შრომის კავშირის“ რედაქცია მოუწოდებს ყველა საკრედიტო, მომხმარებელ, სამეურნეო და სხვა ამხანაგობებს, სოფლის მასწავლებლებს და ბიბლიოთეკებს, რათა აცნობონ მათ დაჩქარებით რედაქციას თავიანთი ადრესები. ადრესების მიღებისას ყველა ზემო-აღნიშნულ დაწესებულებებს გაეგზავნებათ „შრომის კავშირის“ მორიგი ნომრები ჩვენში კოოპერაციის საკითხის გასაცნობად.

✦ ქუთაისის კერძო დაწესებულებათაგან თუ ცალკე პირთაგან ბევრი მისალოცი დეპეშები გაიგზავნა ლადო მესხიშვილის სახელზე. წავიდნენ წარმომადგენლებიც.

✦ სახალხო სკოლების ინსპექტორს გროზდოვს გალობის მასწავლებლად არ დაუმტკიცებია ქალაქის მიერ წარდგენილი (მესამე სკოლისთვის) იოსებ ლორთქიფანიძე.

✦ იანვრის განმავლობაში ჭიათურიდან 6,052,900 ფუთი შავი-ქვა გაუზიდიათ.

✦ ამას წინად ჭიათურის მუშებმა შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს სთხოვეს შუამდგომლობა გაეწია ამიერკავკასიის რკინის გზის მართველობის წინაშე, რომ ამ მუშებს მატარებლებით უფასოთ მოგზაურობის ნება მისცემოდათ. რკინის გზის მმართველობამ საბჭოს უარი შემოუთვალა ამ შუამდგომლობაზე.

✦ კ. მაჰარაშვილს განუზრახავს ქართველ მსახიობთაგან დასი შეადგინოს და ხონში სისტემატიურად წარმოდგენები მართოს. დასს რეჟისორობას ნ. გვარაძე გაუწევსო.

✦ **შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს** ჭიათურის სამრეწველო რაიონში მდებარე გზების შესაკეთებლად ყოველ თვეში საშუალო რიცხვით დაქირავებული ყავს დღიურათ ორსამდე მუშა. ეს მუშები თხოულობდნენ: ბინას, ხელფასის მომატებას და მუდმივი სამუშაოთი უზრუნველ ყოფას. საბჭომ მუშების განცხადება განიხილ 22—26 იანვარს და დაადგინა შემდეგი: ა) მომავალ სიეზდს წარუდგინოს პროექტი უმთავრეს გზებზე ბუდკების აგების შესახებ, რომლებიც მუშებს დაეთმობათ საცხოვრებლად, ბ) გზებზე მომუშავეთათვის დღიურ ხელფასად დაწესდეს 1 მან. 20 კაპ. ხოლო კვირა-უქმე დღეებში მომუშავეთათვის, როცა ამას საჭიროება მოითხოვს, 1 მ. 80 კ. რვა საათის სამუშაო დღეში. სამუშაო ისევ დღიური რჩება.

### შეცდომის გასწორება.

ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს **თამამშევმა შემოსწირა 25 მანეთი** და არა 10 მან., როგორც ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი.

# დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**პეტერბურგი.**

ჩვენმა რედაქციამ დეპუტატ ვარლამ გელოვანისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: „გთხოვთ გადასცეთ ფარესიშვილს, რომლის შვილებსაც სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, რომ ნამესტნიკი დამპირდა, როდესაც იმათ საქმეს მომახსენებენ, თქვენ თხოვნას სათანადო ყურადღებით მოვეკიდებიო.

# ჟურნალისტის დღიური

124.

**ათონის ხელთნაწერები.**

დღევანდელ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილია ცნობა, რომ ათონის მონასტერში დაკარგულა ბ-ნ ოლ უორდროპის, ნ. მარრის და ალ. ცაგარლის მიერ აღწერილი ძვირფასი ხელთნაწერები. ამ შემაძრწუნებელმა ამბავმა, თუ ეს ფაქტი დამტკიცდა, არ შეიძლება დიდი აღშფოთება არ გამოიწვიოს ქართველ საზოგადოებაში. როგორც არა ერთხელ გამოუთქვამთ ქართველ ისტორიკოსებს, ათონის ქართულ მონასტერში ბლომად ყოფილა დაცული ხელთნაწერები, რომელთაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ. ერთხანად ეპისკოპოს კირიონს, გაძევების შემდეგ, სწორედ ამ მონასტერში უნდოდა წასვლა ამ ხელთნაწერების შესასწავლად, მაგრამ მაშინ სასულიერო მთავრობამ ნება არ მისცა.

ძნელია თქმა, ვისმა ბოროტმა ხელმა გააქრო ეს ხელთნაწერები. ადვილად შესაძლებელია, ბერძენმა ბერებმაც ჩაიდინეს ეს საქმე. ხელთნაწერებში, სხვათა შორის, დაცული იყო საბუთები, რომელთა ძალითაც მტკიცდებოდა ისტორიული უფლებანი ქართველებისა ათონის მონასტერზე. ადვილად შესაძლებელია ბერძენი ბერები სწორედ ამ საბუთების გაუქმებითაც იყვნენ დაინტერესებულნი. ყოველ შემთხვევაში თვით იმ პირს, რომელმაც ეს ცნობა მოგვაწოდა უცხოეთიდან, ასეთი ეჭვები ებადება.

ცუდს არ იზამვენ ათონის ქართველი ბერები, თუ დაწვრილებით ცნობებს გამოგზავნიან ამის შესახებ და შეატყობინებენ ქართველ საზოგადოებას, მართლა დაიკარგა ხელთნაწერები თუ არა და თუ დაიკარგა, სახელდობრ რანაირი ხელთნაწერები.

**შინაური.**

# ვლ ალექსი-მესხიშვილის იუბილეის გამო.

10 თებერვალს ქართული თეატრი სადღესასწაულოდ იყო მორთული. იგი დღესასწაულობდა თავისი საუკეთესო ქურუმის ლადო მესხიშვილის 30 წლის მოღვაწეობას. და იდღესასწაულა ღირსეულად, საუცხოვოდ. დილიდანვე ცოცხალ ყვავილებით და ფოთლებით მორთულ თეატრის შესასვლელს აურაცხელი ხალხი მოაწყდა. ყველანი მოუთმენლად ელოდნენ იმ დროს, როდესაც გამოჩნდებოდა „ჩვენი ლადო“. და აი 12 საათზე სასახლის ქუჩაზე გამოჩნდა თეთრ ცხენებიანი სადღესასწაულო ეტლი, რომელიც მოდიოდა პატივცემული იუბილიარი. მას გვერდით უსხდნენ: ვ. ა. აბაშიძე, მ. საფაროვი-აბაშიძისა და სხვანი. მის დანახვაზე ხალხმა ტაშის ცემა და ვაშას ძახილი ასტეხა. დუდუკმა ხალხს ამცნო, რომ მოახლოვდა ის, ვისაც პატივსაცემად შეგროვილა. იუბილიარს აღელვება ეტყობა; თვალებზე ცრემლები უბრწყინავს.

თეატრის ფოიეში მას მიეგებნენ: მგოსანი **აკაკი,** საიუბილეო კომიტეტის წევრნი და სხვანი.

დღესასწაული დაიწყო 12½ საათზე. საუცხოვო მცენარეებით და დეკორაციებით მორთულ სცენაზე 500 კაცამდე მეტი დატეულიყო. წინა რიგში ისხდნენ სხვა და სხვა დაწესებულებათა, საზოგადოებათა და დაბა-ქალაქების წარმომადგენელნი; მათ უკან ჩამწკრივებული იყო 150 კაციდან შემდგარი ხორო. აქ იყო ხოროები: ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა, კომპოზიტორის ნ. პ. სულხანიშვილისა და ქართულ ამხანაგობისა ბ-ნ კავსაძის მეთაურობით.

ფარდის ახდისთანავე მოისმა ახალი კლუბის ორკესტრის სადღესასწაულო ჰიმნი და ზღვა ტაშის ცემისი. ყველანი ფეხზე წამოდგნენ. ამ დროს კულისების მარცხენა მხრიდან გამოჩნდა **იუბილიარი,** რომელსაც გვერდით მოსდევდა დიდებული **აკაკი.**

ხანგრძლივი ოვაციების შემდეგ აკაკიმ მოკლე სიტყვით მიმართა საზოგადოებას, რომელშიაც აღნიშნა დღევანდელი დღის მნიშვნელობა და მიულოცა იუბილიარს. ორკესტრმა და **ხორომ ზ. პ.** ფალიაშვილის ლოტბარობით შესრულა ბ. ნ. ფალიაშვილის „მრავალ ჟამიერი“.

შემდეგ დაიწყო მილოცვები.

მილოცვები, ადრესები, სიტყვები და ლექსები, რომელიც წარმოითქვა იუბილიარის პატივსაცემლად იმდენი იყო, რომ ყოვლად შეუძლებელია მათი ჩამოთვლაც კი. ამიტომ შინაარსს ვერ მოვიყვან. აღვნიშნავთ მხოლოდ ვისგანაც იყო მილოცვა. პირველად მიულოცეს და **ვერცხლის გვირგვინი** მიართვეს **ქართულ დრამატიულ საზოგადოების წარმომადგენლებმა.** წაიკითხეს მშვენიერი მისალოცი დეპეშა სპარსეთში მყოფ **ნ. გ. ქართველიშვილისაგან.** მიულოცეს წარმომადგენლებმა: ტფ. ქალაქის გამგეობისაგან, ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან, კავკასიის მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოებისაგან, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისაგან, ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის საზოგადოებისაგან.

მშვენიერი გულწრფელის სიტყვით მიჰმართა იუბილიარს სომხის ცნობილმა მწერალმა და დრამატურგმა **შირვან-ზადემ.** შემდეგ — სომხურ დრამატიულ საზოგადოებისაგან; მხატვარმა ბ-ნმა **ბაშინჯაგიანმა** იუბილიარს მიართვა ფერადებით ნახატი მშვენიერი სურათი „ღამე ალაზანზე“ ზედ-წარწერით: „ძვირფასო იუბილიარო! პირველად ალაზნის პირას გამიცანი და მის სახსოვრად მიიღე ჩემგან ეს მცირედი ძღვენი“. შემდეგ მიულოცეს: ქართველ ფილარმონიულ საზოგადოებისაგან, ფილარმონიულ საზოგადოებას ხოროსაგან და ხორომ ზ. პ. ფალიაშვილის ლოტბარობით შესრულა სადღესასწაულო კანტატა, ბ. ნ. ზარეჩინის რუსულ დრამატიულ დასისაგან, სომხურ დრამატიულ დასისაგან, პროფ. ხახანაშვილის სახელობის ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებისაგან, საოპერო ამხანაგობისაგან, სახაზინო თეატრის დირექტორის ბ-ნ თამამშევისაგან, არტისტიულ საზოგადოებისაგან, ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლთან არსებულ ქართულ, სომხურ, რუსულ, მალოროსიულ და ოსურ სექციებისაგან, ჭიათურის დრამატიულ საზო... ებისაგან, სურამისა და ... რის დრამატიულ საზოგადოებ... თამარა თავაძისაგან (თავი... ლით ნახატი მესხიშვილის ... თი საუცხოვო ჩარჩოთი), ... ბრისა, ნაძალადევისა და ხარ... წრეებისაგან, ახალი კლუბის... ქართველ მომღერალთა გუნდი... რომელმაც იმღერა კახური მრ... ჟამიერი.

აქ დღესასწაული ათის წ... შესწყდა.

განახლების შემდეგ მიულ... ახალი კლუბის ლოტბარის ბ.ნ... მანისა და ორკესტრისაგან (ო... ტრმა ამ დროს შესრულა სად... წაულო ჰიმნი), სახალხო უნი... ტეტის საზოგადოებისაგან ... ქართველ საზოგადოებისაგან, ... რის სახალხო უნივერსიტეტ... მშრომელ ხალხისაგან, თ... ლავანდიშვილებისაგან, სიღნ... ზოგადოების სახელით მშ... სიტყვა სთქვა პოეტმა ... შვილმა, თელავის საზოგადო... გან, ტფ. ხელოსანთაგან, რ... ჟურნალის „თეატრი და ხელოვ... საგან“, სომხურ ჟურნალ „მშ... გან“, „ართრ“ და „ალბიურ და ... ზისაგან“, „სახალხო გაზეთისა... „თემისაგან“ „მერცხალისაგან“, ... წვილო ჟურნალ „ნაკადულის... „ჯეჯილისაგან“, გაზ. „ჩვენი ... ბისაგანა“, მგოსანმა ს. გრიშაშ... წაუკითხა თავისი მშვენიერი ... მშვენიერ ლექსით „უკვდავ ხელ... ნს“ მიულოცა მგოსანმა ქუჩიშ... გაზ. „ზაკ. რეჩისაგან“, გაზ. „... კაზისაგან“, გამომცემელ ამხანაგ... „ცისკრისგან“, გაზ. „ტფილისის ... ტოკისაგან“, კომპოზიტორის ს... ნიშვილისაგან (რომლის ხ... საუცხოვოდ შესრულა სულ... შვილისავე დაწერილი ჰიმნი მ... შვილის სადიდებლად), მოსკ... საკომერციო კურსებისაგან.

კოტე მესხმა იუბილეარს წა... ხა დეპეშა თავ. კოტე აფხაზის... ჩხეიძისა, ჩხენკელისა და გეგეჭკ... საგან და შემდეგ სთქვა: „აქ ... აუარებელი დეპეშებია, რომ ... წაკითხვა მთელ დღეს ვერ დას... დება, ამიტომ წაიკითხე ძვირ... ლადო, როდესაცმოიცალოო“.

შემდეგ მიულოცეს: დონის ... ლიტეხნიკუმისაგან, ტფ. ... უმაღლეს კურსებისაგან, ქარ... გიმნაზიის მოწაფეთაგან, ტფ. ქარ... გიმნაზიის გამგე კომიტეტისაგან, ... თა და ქალთა საპედაგოგიო სამ... გან, ქუთაისის ქართულ გიმნაზი... რკინის გზის მოსამსახურეთაგან, ... ოლქის ფოსტა-ტელეგრაფის ... ლეთაგან, წინამძღვარიანთ ... სკოლის მასწავლებელთაგან ი. ... ძღვრიშვილისა და სკოლის სახ... და სხვათაგან.

აღსანიშნავია ბ-ნ სულხანიშვ... ხოროს მიერ შესრულებული ... მშობლო ხევსურისა“ ნამდვი... ვსურულ კილოთი, რომელიც ... მსწრეთა მოთხოვნით რამდენჯ... იქნა განმეორებული. დილის ... სასწაული ნაშუადღევის 4 საათ... გაგრძელდა. დასასრულ ვ. ს. ... შვილმა საზოგადოებას მიმართ... ტყვით. მას ძლიერ ეტყო... აღელვება; იუბილიარმა წინ მ... მსახიობთ მიმართა და სთქვა: ... ლოდ იმით ვნუგეშობ, რომ შ... საუცხოვო გვირგვინი. და სა... დოებას ვუძღვენი: ეს მშვე... გვირგვინი შესდგება: ნ. ჩხე... ნ. დავითაშვილისა, ვ. შალიკაშ... და ი. ზარდალიშვილისაგანაო“, ... მელნიც გვერდში ედგნენ. ... ლიარმა სიყვარულით გადაჰკ... ისინი; მადლობა გადაუხადა ... გადოებას და დღესასწაული სა... რვა საათამდე შესწყდა.

საღამოს დღესასწაული ... წარმოდგენით 8½ საათზე. მიუ... ვად იმისა, რომ თეატრის ... და კულისები ხალხით იყო ... დილი, საიუბილეო კომიტეტ... ვრთა დაუღალავ მუშაობს წ... ბით, საუცხოვო წესრიგი სუ... იუბილიარმა მონაწილეობა ... წარმოდგენაში. მან შეას... ურიელ-აკოსტას როლი (მესამ... ქმედება), ედმონდი კინი (მ... სურათი) და ლევან ხიმშია... როლი (უკანასკნელი მოქმე... რა თქმა უნდა ხალხი აღტ... მიეგება იუბილიარს.

შემდეგ გაიმართა პლასტ... სცენები, რომელიც შესრ... დრამატიულ კურსების მოწ... ბ-ნ ოვერლოს ხელმძღვანელ...

მოწაფეთა მოხდენილმა თამაშმა საუცხოვო შთაბეჭდილება მოახდინა. ეტყობა ბ-ნ ოვერლოს დიდი შრომა და ენერგია დაუხარჯავს.

დასასრულ იუბილიარი ისევ სადღესასწაულო სავარძელში დასვეს. მომღერალმა ნანობაშვილმა მშვენივრად უმღერა „Himny d'amous" და „ახალ აღნაგო" ზ. ავალიშვილისა. აღტაცებულმა საზოგადოების თხოვნით, მან კიდევ რამდენჯერმე იმღერა. ამის შემდეგ მიულოცეს: ტფილისის ქართულ დრამატიულ დასის მხრივ ვ. ა. აბაშიძემ; ქუთაისისა ნ. ჩხეიძემ და მ. ქორიძემ, მოგზაურ დასის შ. დადიანმა, მსახიობმა ს. ივანიძემ მიულოცა მგოსნის აბაშელის მხრივ, წაიკითხა მისი ლექსი „სარკე", შემდეგ მიულოცეს ქართულ თეატრის მუშებმა, ვ. შალიკაშვილმა, ი. ზარდალიშვილმა, ქ-ნმა დავითაშვილმა და სხვა. წაკითხულ იქმნა დეპეშები: მსახიობ ქალის სავინასაგან, ავადმყოფ მსახიობ ვალერიან გუნიასაგან, რომელსაც დამსწრე საზოგადოება მხურვალე ტაშით მიეგება და სხვათაგან. აუარებელი დეპეშები სალამოსაც მიიღო კომიტეტმა და გუშინაც მოსდიოდა. დღესასწაული თეატრში დასრულდა ღამის 1 საათზე ვ. ს. მესხიშვილის სიტყვით.

აუარებელი ძვირფასი საჩუქრებისა, გვირგვინებისა და ყვავილების ჩამოთვლა შეუძლებელია.

შემდეგ ახალ კლუბში გაიმართა ბანკეტი, რომელზედაც საუცხოვო მხიარულობა სუფევდა. ბანკეტს 150 კაცამდე დაესწრო.

რედაქციას აუარებელი მისალოცი დეპეშები და წერილები მოსდის. მათი სავსებით დაბეჭვდა მოუხერხებელია, ამისათვის მხოლოდ სია მოგყავს:

**მოსალოცი დეპეშები.**

**ჟენევა.** ქართველთა სათვისტომოსაგან.

**ბაქო.** ქართულ სკოლის მასწავლებელთაგან.

**კიევი.** კიევის საკომერციო ინსტიტუტთან არსებულ ქართულ სამეცნიერო წრისაგან.

**თელავი.** წ.-კ. გ. ს. თელავის განყოფილებისაგან.

**სამტრედია.** წ.-კ. გ. ს. სამტრედის განყოფილების გამგეობისაგან.

**ბათომი.** „ფრანციის" სასტუმრო მსახურთაგან.

**ონი.** ონის საზოგადოებისაგან.

**ხოი** (სპარსეთი). მღ. დიმიტრი ვარდიაშვილისაგან.

**ბათომი.** კახიანებისაგან.

**პეტერბურგი.** ქართულ სამეცნიერო წრისაგან.

**სამტრედია.** სამტრედიის მცხოვრებთაგან.

**ვარშავა.** ქართველ სტუდენტობისაგან.

**სიღნაღი.** სიღნაღელ ქალებისაგან.

**ერევანი.** ალიბაშვილისაგან.

**კავკავი.** ქართულ დრამატიული წრისა და კავკავის ინტელიგენციისაგან.

**კავკავი.** კავკავის ქართულ სკოლის მასწავლებელთაგან.

**სიღნაღი.** ექიმ ფავლენიშვილისაგან.

**ზუგდიდი.** აკაკის სახელობის ბიბლიოთეკის გამგეობისაგან.

**ბათომი.** ბათომის რკინის თეატრის მსახურთაგან.

**გუდაუთი.** წ.-კ. გ. ს. გუდაუთის განყოფილებისაგან.

დეპეშა იყო აგრეთვე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის **ვ. გელოვანისაგან.**

## ვლადიმერ მესხიშვილის გამოსვლა „სამშობლოში"

**(ტკბილი მოგონება)**

ორ კვირაზე ადრე მთელმა ტფილისმა იცოდა, რომ 22 იანვ. 1882 წ. საზაფხულო თეატრში წარმოადგენდნენ „სამშობლოს", დავით ერისთავის მიერ ფრანგულიდგან გადმოკეთებულს პიესას და ყოველ წვრიმალს იმ წარმოდგენისას დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ; გასაოცარ და დაუჯერებელ ზღაპრებს სთხზავდნენ, როგორც პიესის შინაარსზე, ისე იმის მდიდრულად და შეუდარებლად დადგმაზე.

მიხეილ პეტროვიჩი ბებუთოვი, პიესის რეჟისორად მოწვეული ავტორისაგან, საიმედოსო გმირად გადაიქცა; იმისი ყოველთვის აღელვებული და ნერვიული სირბილი საზაფხულო თეატრში, თეატრიდგან გოლოვინის პროსპექტზე საყოველთაო ყურადღებას იპყრობდა, ყველანი ისე შეჰყურებდნენ იმას, როგორც თილისმით სავსე ჯადოსანს, რომელიც ქართულ წარმოდგენას სასწაულით მოქმედებად გადააქცევდა და სუყველანი გატაცებით იძ...დნენ ბილეთს, რომ არ გამოჰკლებოდნენ ამ საოცნებო მოვლენას. „სამშობლო" და მიხეილ პეტროვიჩი — სამშობლოს სულის ჩამდგმელი, მოწიწებით იხსენიებოდნენ ქალაქის ყოველ კუთხეში, ყოველ ოჯახში, ყოველ შეგნებულ ქართველის ბაასში. მხოლოდ არტისტებზე, ამ პიესის ნამდვილ გამაცოცხლებელზე, ხმას არავინ იღებდა, თითქო იმათი დაფასება ხალხისთვის იყო დატოვებული.

აი, წარმოდგენის დღეც დადგა. საზაფხულო თეატრი პირამდეა გატენილი. ქართველი არისტოკრატია, მთელი ქართველი ინტელიგენცია, ჩინოვნიკობა და უდრო-უდროდ თეატრში მიმსვლელი, დღეს, გამოპრანჭული და აღელვებული, გაცილებით ადრე ზის თავის ალაგზე. თეატრი სადღესასწაულოდ არის მორთული და განათებული. მუსიკა რაღაც სასიამოვნო მელოდიას უკრავს, მაგრამ იმას ყურს არავინ უგდებს, ყველა მოუთმენლად ელის ფარდის ახდას, ცმუკავს და ტოკავს.

მე სცენის პირდაპირ ზემო იარუსის ლოჟაში ვიჯექი ჩემის მახლობლებით და მთლად ვთრთოდი აღელვებული; მახლობელნი დამცინოდნენ: „განა არ იცი, არ იცნობ ქართულ თეატრს, ქართველ არტისტებს? ამათგან გასაკვირველს რას უნდა მოელოდე?!" და თითონ კი მოელოდნენ გასაკვირველს და ღელავდნენ...

აი, ფარდაც აიხადა და მოლოდინი გადააჭარბა იმან, რაც ქართველებმა სცენაზე დავინახეთ: მდიდრული მოწყობილება, შესაფერი და მშვენივრად შეხამებული ტანთსაცმელი, მწყობრი და ილიუზ...ამდე მიღწეული სიმართლით შესრულება ყველასაგან თავისი ნაკისრი როლისა (რაც მანამდე თითქმის მიუწდომელ ოცნებად იყო აღიარებული ჩვენ სცენაზე) და ბოლოს თვით გვირგვინი დღევანდელი წარმოდგენისა, ლევან ხიმშიაშვილის როლში, ლადო მესხიშვილი.

წინადაც მენახა მესხიშვილი სცენაზე, გამეგონა იმისი მომჯადოებელი, ჰარმონიით სავსე ხმა, ხმა იშვიათი, თითქმის დაუჯერებელი და წარმოუდგენელი ჩემის სმენისათვის (მაშინ ყრუ არ ვიყავი), მაგრამ დღეს ლადო სულ სხვა იყო! ის აღარ იყო აქტიორი, რომელიც სცდილობდა ხოლმე ზეპირად დასწავლილი როლი, ქართულ-რუსულის კილოთი გადაეცა ამხანაგისათვის, არა,—ის იყო მშვენიერი ვაჟკაცი, ქართულ ძველებურ ტანისამოსით გამოწყობილი, ქართულ ძვირფას იარაღით შესხმული მეომარი, რომელსაც სამშობლო უნდა დაეცვა მტრისაგან და რომელიც ამ დაცვის ასრულების ფიცს, მშვენიერის, უზაკველის, ყოველგვარ აქცენტს აცილებულ ქართული ენით წარმოსთქვამდა.

დღესაც თვალწინ მიდგას ის სცენა, როდესაც ხიმშიაშვილი ზეციურის ხმით, რაინდულის გრაციით და შეუდარებელის გმირობით ეუბნება შაჰს სამსახურზე უარს, როდესაც ის თავის ქალის თხოვნით უბრუნებს წართმეულ ხმალსა: „არა, ვერ მივიღებ... მე კარგად ვიცნობ ჩემს ხმალს, ის ამჯობინებს ჩემ გულში გადატრიალდეს, ვიდრე თავის მტერს ემსახუროს... მე და ჩემი ხმალი ქართველები ვართ, დიდებულო შაჰო!" რა თავხედობა იყო, რა გამბედაობა ამ საქციელში! და რა გვარად იმოქმედა დროთა ბრუნვით დამუნჯებულ და ყოველგვარ საკუთარ აზრის უქონელ მაშინდელ ქართველობაზე.

მე მზად ვიყავ გადავმხტარიყავ ლოჟიდან და მუხლი მომეყარნა საოცნებო გმირის წინაშე, ასევე გრძნობდა უთუოდ მთელი საზოგადოება, რადგან ლევ. ხიმშიაშვილის სიტყვებს უზომო და შეუკავებელ ოვაციით მიეგება. რამდენიმე წამი ხიმშიაშვილი—მესხიშვილი თავჩაღუნული იდგა და მოწიწებით ელოდა ხალხის დამშვიდებას, რომ სალაპარაკო განეგრძო და კვლავ ყოველის თავისი ნაბიჯით, ყოველის თავისის გულიდგან ამოხეთქილის ნათქვამით და გულამდე ჩამწდომის ხავერდოვანის ხმით ღეეპყრო, დეემორჩილებინა მსმენელი.

მართალია, ბებუთოვს ჩინებულად გაეწვრთნა არტისტები, სრულის განათლებულის და ბევრის მნახველის კაცის გემოვნებით დაედგა პიესა, მაგრამ რა იქნებოდა ხელოვნობით შემზადებული ძლვენი, თუ რომ ბუნებით მოძლვნილი სიმდიდრე; ბუნებრივი მარგალიტი, ბუნებით შექმნილი ხელოვანი მესხიშვილი არ შეხვედროდა!

ხელოვანმა მესხიშვილმა თავისის ბუნებრივის ნიჭით აღჭურვილმა,— ასახელა რეჟისორი ბებუთოვი, ასახელა „სამშობლო" და სამშობლოს გადმომკეთებელის სახელი უკვდავჰყო და ქართველი ხალხის გულში მკვიდრად დაბინავდა.

სამშობლოს პირველ წარმოდგენის მოგონების დროს, არ შემიძლიან არ აღვნიშნო კიდევ ერთი დიდი მომენტი, რომელიც იშვიათ წამად უნდა ჩაითვალოს ქართველთა ცხოვრებაში. ეს ის მომენტი იყო, როდესაც მესამე მოქმედებაში მეტეხის დარბაზში საბრძოლველად გამზადებულნი გმირები დროშაზე ფიცს სდებენ სამშობლოსთვის თავის განწირვაზე. საკვირველი იყო ეს წამი და სწორედ სასწაულით მოქმედებად აღიბეჭდა მსმენელებზე. მთელი საზოგადოება, პარტერის წინა რიგებიდგან დაწყობილი, გალერიის უკანასკნელ რიგამდე, ფეხზედ იდგა და სასოებით გამსჭვალული მზად იყო მუხლიც მოედრიკა ეროვნული დროშის წინ, რომ თეატრი გაჭედილი არ ყოფილიყო და მუხლის მოსადრეკი ალაგი ჰქონდა.

ამისთანა წამები იშვიათია და მას არ ივიწყებს შთამომავლობა და მას მიმნიჭებელთ ათაყვანებს.

(„კლდე" № 7) **ეკ. გაბაშვილისა.**

## საკანონმდებლო დაწესებულებებში

**მესამე სათათბირო და შრომის ჯგუფი.**

შრომის ჯგუფმა სახელმწიფო სათათბიროში შეიტანა კანონ-პროექტი საყოველთაო საარჩევნო უფლების შესახებ. იმ წერილობით განმარტებაში, რომელიც შრომის ჯგუფმა დაურთო თავის კანონ-პროექტს, ნათქვამია, „რომ მესამე სათათბირო მთავრობის ბრმა იარაღად გადაიქცა და დაარღვია ყველა საზოგადოებების უფლებები", „მესამე სათათბირომ შეზღუდა ფინლიანდიის თავისუფლება", „დევნა დაუწყო პოლონელებს, ქართველებს, ებრაელებს და სხვა არა რუსებს", „მესამე სათათბირო „ბატონების", „მემამულეების" სათათბირო იყოვო" და სხვა ამისთანები. პრეზიდიუმს ეს სიტყვები მესამე სათათბიროს შეურაცხმყოფელად მიაჩნია და ამიტომ პროექტის დაბეჭვდა ვერ გაბედა. 5 თებერვალს ი. ავმჯდომარემ როძიანკომ შრომის ჯგუფის წარმომადგენლები კერენსკი და გელოვანი მოიწვია და სთხოვა, პროექტი შეესწორებინათ. წარმომადგენლებს განუცხადებიათ, ჩვენის ნებით ვერ შევცვლით, ფრაქციას დავეკითხებითო. ყოველ შემთხვევაში, განუცხადებიათ მათ, ფორმის მხრით კიდეც რომ შეიცვალოს, არსებითად პროექტს არ შევცვლითო.

**კანონ-პროექტი გიმნაზიების შესახებ.**

პროგრესისტებს სათათბიროში შეაქვთ კანონ-პროექტი გიმნაზიების შესახებ. პროექტით, გიმნაზები უნდა იყოს ვაჟებისა, ქალებისა და შერეული. უკანასკნელთა გასახსნელად საჭიროა სახალხო განათლების მინისტრის თანხმობა. უმაღლეს სახალხო სკოლებში კურს დამთავრებულნი პირდაპირ გიმნაზიის მეხუთე კლასში უნდა მიიღონ. გიმნაზიასთან არსდება სამზრუნველო საბჭო და მშობელთა კომიტეტები. დირექტორს ირჩევს სამზრუნველო საბჭო და ამტკიცებს მინისტრი, მასწავლებელს ირჩევს იგივე საბჭო და ამტკიცებს მზრუნველი.

მოსკოვის გაზეთების ცნობით ოქტომბრისტებს სათათბიროში შეაქვთ კანონ-პროექტი საგლეხო ბანკის რეორგანიზაციისა. ამ პროექტით საგლეხო საადგილ-მამულო ბანკი სახელმწიფო ბანკად უნდა გადაკეთდეს, რომელიც სამეურნეო საჭიროებისათვის სესხს გასცემს.

## მეფის მოადგილის

**წერილი კავკასიის ოლქის მზრუნველთან.**

თქვენდა რწმუნებულ სამოსწავლო ოლქის ზოგიერთ სასწავლებელში შემჩნეულია ზოგიერთი მოვლენა, რასაც სკოლის ცხოვრებაზე შეუძლიან მავნებელი გავლენა იქონიოს.

ეს მოვლენა საზოგადოების მღელვარებას იწვევს, რაც ფრიად ადვილად ასახსნელია, რადგანაც ეხლანდელ დროში მოზარდ ახალთაობისთვის სწავლის მიცემა გადაიქცა მცხოვრებთა არსებით მოთხოვნილებად, და ამიტომაც სკოლის ნაკლულევანება საზოგადოების ცხოველმყოფელ ინტერესებს ეხება.

მახლობელ წარსულში სკოლა თვის კედლებს შუა თავს უყრიდა ისეთ ოჯახებიდან გამოსულ ახალგაზდობას, რომელნიც თაობიდან თაობაში ნაზიარებნი იყვნენ თანამედროვე განათლებით, ეხლა-კი მოსწავლე ახალგაზდობის თვალსაჩინო უმრავლესობა საზოგადოების იმ ნაწილს ეკუთვნის, რომლისთვისაც სწავლის დამთავრება სასწავლებელში ცოდნის მიღების გარდა, არის საშუალება საზოგადოებრივ იერარქიულ კიბის საფეხურებზე ასასვლელად.

ახალგაზრდობის ეს ნაწილი მიისწრაფვის სასწავლებლებში, არა მარტო იმისთვის, რომ ცოდნით გაუთანასწორდნენ თვის მშობლებს, არამედ იმისთვისაც, რომ სკოლისა და ცოდნის საშუალებით მიიღოს უფლებანი და საშუალება საზოგადოების უფრო მაღალ საფეხურზე ავიდნენ, ვიდრე მათი მშობლები. სკოლის ცხოვრებაში ჩამოყალიბდა ის საზოგადო მიმდინარეობა, რომლითაც ხასიათდება თანამედროვე საზოგადოების ცხოვრება. ამ მიმდინარეობამ სკოლის აკადემიურ ცხოვრებაში შეიტანა მისწრაფებაა და გულისთქმათა ელემენტები, რომელიც ყოველთვის არ არის მათ მისაღწევ ძალასთან და საშუალებასთან შეწონილი, აგრეთვე შეიტანა უტილიტარიზმის ელემენტი. ადვილად გასაგებია, რომ სკოლის ცხოვრების ატმოსფერამ მიიღო ახალი ელფერი და პედაგოგიკის საშუალებანიც ახალ ფორმაციის სკოლაში უნდა სხვა იყოს, ვიდრე წინა წლებში იყო. არ შეიძლება თვალი დავხუჭოთ და არ დავინახოთ რომ პედაგოგიკის საქმე ეხლა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე წინად იყო. მაგრამ სიძნელემ, რომელიც ამ გზაზე გვხვდება, უნდა გვაიძულოს ახალი მეთოდების კვლევა-ძიება, რომელიც შეეთანხმება საზოგადოების და სკოლის ცხოვრების ახალ პირობებს; სკოლის ძირითადი მიზანი და საგანი, როგორც სასწავლო-განმანათლებელისა, ისევ ძველია.

ახლად წარმოშობილი პირობების გამო, თანამედროვე სკოლის სურათი წარმოადგენს, პირველ ყოვლისა მოსწავლეთა უკიდურეს მრავალმრიცხოვანობას, რაც აღმზრდელთა და მასწავლებელთა შემადგენლობის ძალას გაცილებით ჰჭარბობს, საქმის სასურველად დაყენებაში. ეს გარემოება რასაკვირველია, ცუდად მოქმედობს ცოდნის შეძენაზე. მასწავლებელთა შემადგენლობა ახალ შტატების შემოღებამდე, ნივთიერად უზრუნველყოფილი არ იყო. ეს გარემოება უფრო აძნელებდა მათ მოვალეობის შესრულებას, რადგანაც მასწავლებელი ჰსცდილობდა აელო მის ძალისთვის სრულიად შეუფერებელი სიმრავლე გაკვეთილებისა. დაღლილობისა და მოქანცულების გამო, მასწავლებელთა შემადგენლობა ხშირად თავის მოვალეობის ასრულებას ფორმალიურად ეკიდებოდა და ამასთანავე გალიზიანების ელფერით, რაც პედაგოკის ძირითად დებულებაზე, სამართლიანობაზე და სათუთ მზრუნველობაზე დამღუპველად ჰმოქმედებს.

ამ პირობებში ჩლუნგდება პედაგოგის უძვირფასესი მხარე — მისი შემოქმედებითი თვითმოქმედება. ამ მხრივ სამოსწავლო უწყებაში ფართეთ არის განვითარებული ცირკულიართა სისტემა. მის კეთილ სასურველ მნიშვნელობის მაგივრად, საპედაგოგიო ტეხნიკის გაადვილება წმინდა ფორმალურ რეგლამენტაციად ხდება, რომელიც მასწავლებელთა კერძო თაოსნობის ნასახსაც კი სპობს. ამ მძიმე და აუტანელ პირობებში, მხოლოდ ზოგიერთებს შეუძლიანთ შეინარჩუნონ ძალღონე თავის მოწოდების პირნათლად შესრულებისთვის. საქმის ამ გვარად დაყენების უარყოფითი ნაყოფმა საუბედუროდ, შეიმუშავა მკვეთრად ჩამოყალიბებული ტიპები აიასასურველ პედაგოგებისა.

(დასასრული იქნება)

## ბალკანეთის ომი

**დეპეშები.**

9—10 თებერვალი.

**სოფია.** გამოქვეყნდა ფინანსთა მინისტრის ცნობა ოსმალეთის კონტრიბუციისა, რომლის ვალის ნაწილს მოკავშირე სახელმწიფონი კისრულობენ. მოკავშირე სახელმწიფოთა მოთხოვნილებანი კანონიერია, რადგანაც ომის პასუხის-მგებლობა სავსებით ოსმალეთს აწევება. 35 წლის განმავლობაში ოსმალეთი ჰპირდებოდა აღთქმულ რეფორმების განხორციელებას და აღთქმა აღთქმადვე დარჩა. ლონდონის მოლაპარაკეების უნაყოფობაც ოსმალეთს ედება ბრალად. ომმა დიდი ზარალი მიაყენა მოკავშირე სახელმწიფოებს. ხალხის და საქონლის დაღუპვა დიდ კრიზისს უქადის ახლად შეერთებულ ოსმალეთის პროვინციებს, რომელნიც განადგურებულნი არიან. მოკავშირენი არ მოითხოვენ კონტრიბუციის დაუყოვნებლივ გადახდას. იგი უზრუნველ ყოფილი უნდა იყოს „დეტ-პუბლიკის" ზედმეტი შემოსავლით. აზრით ოსმალეთის შემოსავალ მთავარ-წყაროს წარმოადგენს ოსმალეთის ხარჯთ-აღრიცხვისას და ეხლა მისი ნახევარი განთავისუფლდება, რადგანაც აღარ მოუნდება დაპყრობილ პროვინციების მართვა-გამგეობას. ამრიგად „დეტ-პუბლიკის" ინტერესებს ზიანი არ მოადგება ოსმალეთის პროვინციების შემცირებით. დასასრულს მინისტრი აღნიშნავს, რომ კონტრიბუციის საკითხი ზავის ჩამოგდების უმთავრესი პირობაა.

**გაზეთებიდან.**

**ბულაირის ალება.**

7 თებერვალს გალიპოლის ნახევარკუნძულზე კვლავ დაიწყო ფიცხელი ბრძოლა. ბულგარეთის ჯარმა, რომელიც საბერძნეთის გემებმა კადიმოსხეს საროსის ყურეში, მოახერხა მოულოდნელით წინ წაწევა ნახევარკუნძულზე. სასტიკ ბრძოლის შემდეგ, რომელშიაც ოსმალებმა დიდი ზარალი ნახეს, ბულგარეთის ჯარი ხუთი ვერსის მანძილზე მიუახლოვდა ბულაირის ციხეს და საშინელი სროლა აუტეხა. დიდი ხნის სისხლის მღვრელ ბრძოლის შემდეგ ბულგარეთის ქვეითი ჯარი შეუდრეკელი იერიშით მივიდა სიმაგრეებზე და ხელთ იგდო ფორტები „ვიქტორია" და „ნაპოლეონი"; პირველი ციხე ინგლისელებისგანაა აშენებული, მეორე კი ფრანგებისგან. ამ ამბავმა თავზარი დასცა სტამბოლის მცხოვრებთა და მთავრობას. ოსმალებს შერჩათ მხოლოდ ერთი სიმაგრე „სულთანიე" მეტად ძველი და ბრძოლისთვის გამოუსადეგარი. ამ ციხეების ალება შეძლებას მისცემს ბულგარელებს დარდანელის ციხეებსაც მალე მოუღონ ბოლო, ამიტომ ოსმალეთის მთავრობამ მრავალი ნაღმი გაგზავნა, რათა დარდანელის სრუტეში ჩააწყონ და სრულიად დაჰკეტონ შესავალი.

**ოსმალეთის ჯარი ზღვაში.**

აგერ ერთი კვირაა, რაც „შირქეთის" საზოგადოების 30 ხომალდი, რომელზედაც ოსმალეთის ჯარი იმყოფება, უგზო-უკვლოდ დაეხეტება მარმარილოს ზღვაში, რადგან დიდი ღელვის გამო ნაპირს მიდგომა ვერ მოუხერხებია. ზოგიერთი ხომალდი მეტად დაზარალდა, მანქანები აღარ მუშაობს. მათ საშველად მივიდა ოსმალეთის ჯავშნოსანი „თურღუთ-რეისი" და როდესაც ჯაჭვი გადაუგდო გამოსაბმელად, უკანასკნელი გაწყდა, რის გამო ხომალდები ერთმანეთს დაეჯახნენ და მრავალი ჯარის-კაცი დაიხრჩო. ქ. როდოსტოს ნაპირზე ტალღამ დიდ-ძალი გვამი გამორიყა.

**ადრიანოპოლის ალყა.**

ვენის ცნობით, ბულგარელები მხნედ მუშაობენ ალყის სიმკაცრის გასაძლიერებლად. საჩქაროდ სდგამენ სერბიიდან მოტანილს, საალყო მძიმე ზარბაზნებს. ადრიანოპოლის დამცველი შუქრი-ფაშა უმავთულო ტელეგრაფით ატყობინებს თავის მთავრობას, რომ რადგან ციხეში სურსათი ილევა, ჯარის-კაცებს დღიური საზრდო მეტად შევუმცირე, ასე რომ კაცზე 50 მისხალ პურს ვიძლევი, მაგრამ ამ ვარაუდითაც სურსათი 12 დღის განმავლობაში თუ გვეყოფაო.

**ჩათალჯასთან.**

ჩათალჯის ციხეებთან მოპირდაპირეთა მდგომარეობა თითქმის უცვლელია. მხოლოდ ბულგართა ჯარის მარცხენა ფრთამ წაიწია წინ ს. ჩიფლიქიომდე და იქვე გამაგრდა. დერკოსის ტბასთანაც მათმა ძლიერმა რაზმმა მეტად შეავიწროვა ოსმალთა სანგრები და მტერს ს. ორძანლიმდე დაახევინა უკან. აქედან სამხედრო ავტორიტეტები დაასკვნიან, რომ ბულგარელებს კვლავ გაუცოცხლდათ იმედი ჩათალჯის ციხეთა რკალის გაგლეჯისათ.

**სკუტარის ალყა.**

გაზ. „ტაიმსის" ცნობით, სამი დღის ბრძოლაში, რომელიც სკუტარის ციხის გარშემო მოხდა, მოკავშირეთა ჯარმა დიდი ზარალი ნახა, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩერნოგორელები და სერბიელები ისევ განაგრძობენ ციხის წინააღმდეგ მოქმედებას. სერბიის მთავრობა, ადრე გაგზავნილს გარდა, კიდევ აგზავნის ალყის გასაძლიერებლად იმ საალყო მძიმე ზარბაზნებს, რომელიც მონასტირის ბრძოლაში წაართვეს ოსმალებს.

**ოსმალეთის ფინანსიური მდგომარეობა.**

ოსმალეთის მთავრობამ, მიმდინარე ხარჯის დასაფარავად, ფრანგულ-გერმანულ სავაჭრო საზოგადოებას 400.000 გირვანქა ოქროდ [illegible] თაქსიმის ყაზარმები სტამბოლში [illegible]

**ბულგარეთის სესხი.**

ბულგარეთის მთავრობამ საფრანგეთ-ბელგიის ბანკთა სინდიკატისაგან სესხად აიღო 350.000.000 ფრანკი.

## ბალკანეთი და ევროპა

**დეპეშები.**

9—10 თებერვალი.

**ლონდონი.** ელჩთა თათბირის შემდეგი სხდომა 14 თებერვლისათვის არის დანიშნული. პეტერბურგის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, ყველაზე უფრო დაინტერესებული ელჩნი მთავარ საკითხების თაობაზე ახალ ინსტრუქციების მისაღებად თავ-თავიანთ მთავრობას მიჰმართავენ.

რეიტერის წარმომადგენელთან ბაასის დროს, ხაკი-ფაშამ დაადასტურა, რომ მას ლონდონში არავითარი ოფიციალური მისია არა აქვს. მისი მდგომარეობა ნახევრად ოფიციალურია. ოსმალეთს ჰსურს მკვიდრი და სპატიო ზავი. ამისათვის მოპირდაპირეებთან მოლაპარაკებით არაფერს გახდებიან; სასურველია გამოირკვეს დიდ სახელმწიფოთა ჩარევის პირობები; ოსმალეთი დარწმუნებულია, რომ დიდი სახელმწიფონი შესძლებენ ისეთს ფორმულის გამოძებნას, რომლითაც ზავის ყოველი პირობა გამორკვეული იქნება, და არა მარტო ძირითადი პირობები; ადრიანოპოლი ერთად-ერთი პუნქტია, რომლის შენარჩუნებასაც მოითხოვს ოსმალეთი. ოსმალეთმა უნდა შეინარჩუნოს კრაკიაში საკმაო მიწა-წყალი, რათა მარმარილოს ზღვა, დარდანელი, სტამბოლი და მცირე აზია უზრუნველყოფილი იყოს. ხაკი-ფაშამ უარჰყო ცნობა, ვითომც იგი ლონდონში ინგლისის მეგობრობის საძიებლად მოსულიყვეს. ოსმალეთის მიერ ომის წინ ჩაბარებულ ულტიმატუმში ეგეის კუნძულთა თაობაზე ერთი სიტყვაც არა ყოფილა; ერთად-ერთი ფაქტი—მათი დაპყრობაა მოკავშირეთა მიერ,—რომელთაც მთელ დაპყრობილ ტერიტორიის ანექსიის მოთხოვნა არ შეუძლიანთ. ოსმალეთმა მხედველობაში უნდა მიიღოს მცირე აზიის ხიფათი, კუნძულთა ანექსიის შემთხვევაში. ხაკი-ფაშის აზრით, ბალკანეთის საკითხი მომავალში უფრო გართულდება.

**ვენა.** „კელნიშე-კორესპონდენცი"ავრცელებს ლვოვის უკრაინულ გაზეთის „რუსლანის" ცნობას, რომლის სიტყვითაც გალიციის რუსი ნაციონალისტები აიარაღებენ ახალგაზდობას და მალვით შემოაქვთ რუსეთიდან დიდ-ძალი იარაღი.

**ლონდონი.** სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, დიდ სახელმწიფოთა პასუხი, შეუძლებლად ჰსცნობს ოსმალთა თხოვნის დაკმაყოფილებას, ჩარევის თაობაზე, მანამდის, ვიდრე პორტა თავის საპასუხო ნოტაში მოლაპარაკების აღნიშნულ ფაზისს არ გასცილდება. ხაკი-ფაშის მიერ ნახსენები ფორმულა ოსმალეთმა უნდა მოსძებნოს; იგი უნდა შეიცავდეს ადრიანოპოლის დათმობას და ეგეის კუნძულთა საკითხის გადაწყვეტის მინდობას დიდ სახელმწიფოებს.

8 თებერვალს ელჩთა თათბირმა საბოლოოდ ვერ გადასწყვიტა ალბანიეთის საკითხი, თუმცა უთანხმოების ფარგალი საგრძნობლად არის შეზღუდული. იმედოვნებენ, რომ შემდეგ კრებაზე ელჩნი შეთანხმდებიან. გრეი მცირე ხანს დასასვენებლად მიდის. მის ნაცვლად მოხაწილეობას მიიღებს ნიკოლსონი.

**ნიკოლაევი.** ზღვათა მინისტრმა დაათვალიერა ახაგები გემები და პეტერბურგში წავიდა.

**ვენა.** „ცეიტის" ცნობით, პრჟემიშლის და ლვოვის კორპუსის უფროსებმა განკარგულება მისცეს ესროლონ უცხოელ მფრინავებს, რადგანაც ამ ბოლო დროს დეკემბერში და იანვარში პრჟემიშლში, იაროსლავში და კარაკოვში გახშირდა უცხო მფრინავთა ჰაერში ნავარდობა.

**რომი.** დეპუტატთა პალატა. სანჯულიანომ წარმოსთქვა გრძელი სიტყვა, ევროპის დიპლომატიის დეპუტატთა მკაცრ კრიტიკისაგან იცავდა. მიუხედავად საქმის გართულებისა და სიძნელისა მშვიდობიანობა მაინც დაცული იქნაო. მეიდრო კავშირი იტალიისა და ავსტრია-ჰუნგრეთისა, აგრეთვე რუსეთ-იტალიის კეთილგანწყობილება შეუწყობს ხელს თანამედროვე კრიზისის სასურველად გადაწყვეტას. ბალკანეთის საკითხის გადაწყვეტა თანახმად პრინციპისა „ბალკანეთი ბალკანელ ხალხთათვის" სავსებით ეთანხმება იტა-

ლიის ლიბერალურ პრინციპებს და აგრეთვე ევროპის მშვიდობიანობის ინტერესებსაცო. ეხლანდელ კრიზისში არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლიან იმედიანად იყოს, ან მოითხოვოს სრული დაკმაყოფილება; მსხვერპლი აუცილებელია. ინტერესთა სხვა და სხვაობა უნდა წარიშალოს ურთიერთთა დათმობით; იტალია მოწადინებულია, რომ ხმელთა შუა ზღვაზე დაცული იყოს თანასწორობა. არავის, არც ეხლა და არც შემდეგ, არ შეუძლიან ხმელთა შუა ზღვა თავისად გამოაცხადოს.

**ვენა** კოკოვცევის საუბრის გამო, „კორესპოდენც-ბიუროს“ აგენტთან, „ნეის-ვინერ-ტაგებლატი“ და „ნეიფრეი-პრესე“ კმაყოფილებას გამოსთქვამენ და გულწრფელად უერთდებიან კოკოვცევის სურვილს. „ნეიფრეი-პრესეს“ იმედი აქვს რომანოვთა სახვარეულოს დღესასწაულში ავსტრია-ჰუნგრეთი მშვიდად და უქვენაგრძნობოდ მოიგონებს რუსეთთან წარსულ მეგობრობას.

**სოფია.** დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენელნი გუშოვს დაჟინებით სთხოვენ, რათა ბულგარეთ-რუმინიის დავა გადასაწყვეტად სხვა დიდ სახელმწიფოს მიენდოს. გეშოვმა უპასუხა, კაბინეთს მოველაპარაკებიო.

მთავრობამ აცნობა დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, რომ ვერ დააკმაყოფილებს მათს თხოვნას უცხოელ მოსახლეებისათვის ადრიანოპოლში ნეიტრალიტეტის უბნის გამოყოფვის თაობაზე.

**სტამბოლი.** ოსმალეთის სააგენტოს ცნობით, უცხოელნი რჩეობენ ადრიანოპოლში ნეიტრალურ უბანში დარჩენას, ვიდრე ქალაქიდან გასვლას, რადგანაც უკანასკნელი მოვლენა მძიმე შთაბეჭდილებას მოახდენს ადგილობრივ მცხოვრებლებზე. დიდმა ვეზირმა მადლობა გამოუცხადა უცხოელთა მოსახლეობას.

**გაზეთებიდან.**

**ოსმალეთი და სახელმწიფოები.**

ქიამი-ფაშამ მიმართა ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრს ბერჰტოლდს, დაგვეხმარე სამშვიდობო მოლაპარაკების განახლების საქმეშიო; ამგვარივე თხოვნით მიმართა ვენის მთავრობას დიდმა ვეზირმა მაჰმუდ-შევქეთ-ფაშამაც, ისე როგორც ხაქი-ფაშამ გრეის ლონდონში. სახელმწიფოებმა უპასუხეს ოსმალეთის მთავრობას, მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიკისრებთ შუამდგომლობას, თუ ოსმალეთი დაემორჩილება ევროპის აზრსა და რჩევასაო.

**ოსმალეთის დათმობანი.**

„რუსკ. სლოვოს“ კორესპონდენტისთვის ოსმალეთის ერთს გამოჩენილ დიპლომატს უთქვამს: ჩვენ მზად ვართ კიდევ დავუთმოთ ბულგარეთს, ჩვენ მივსცემთ მას მდ. მარიცის მთელს მარჯვენა ნაპირს, მაშასადამე რკინის გზის სადგურსა და ადრიანოპოლის უბანს —ყარაგაჩს; უკიდურეს შემთხვევაში ციხეებსაც დავანგრევთ. თუ ამ პირობებით შეიძლება მოლაპარაკების განახლება, ჩვენ შევსწყვეტთ ომს, თუ არა და უნდა ვიბრძოლოთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. ჩვენ დავკარგეთ ყველაფერი, მეგობრებიც კი. მშვიდობიანობის დამყარების შემდეგ ჩვენს ყურადღებას მცირე აზიას მივაქცევთ: შემოვიღებთ რეფორმებს და უზრუნველვყოფთ მცხოვრებთ. ამის შემდეგ, იმედია, ევროპაც ნდობით მოგვეკიდება.

**ალბანეთის საზღვრები.**

სერბიის მთავრობამ დიდ სახელმწიფოებს მემორანდუმი დაუგზავნა, რომელშიც აღნიშნულია, თუ როგორ უნდა გადასწყდეს ალბანეთის საზღვრების საკითხი. მემორანდუმი ავსტრიის წინადადების საწინააღმდეგო პროექტს წარმოადგენს და საგრძნობლად ავიწროებს იმ ფარგალს, რომელიც განზრახულია ალბანეთის ტერიტორიისათვის ვენის დიპლომატიისაგან. პეტერბურგიდან მოსული ცნობებით, დიდი სახელმწიფოები თანაგრძნობით შეხვედრიან სერბიის მემორანდუმს, რომელიც, შესაძლებელია, სავსებით განხორციელდეს. სამთა შეთანხმების სახელმწიფოები მხარს დაუჭერენ სკუტარის ალბანეთისთვის გადაცემას, თუ ავსტრია სხვა საკითხში წინააღმდეგობას არ გაუწევს სამთა შეთანხმების წინადადებას. ჩერნოგორია კი, სკუტარის სამაგიეროდ, ქ. იპეკს მიიღებს.

**ბულგარეთ-რუმინიის დავა.**

სახელმწიფოები ასეთ წინადადებას მისცემენ რუმინია-ბულგარეთს დავის გადასაწყვეტად: ქ. სილისტრია ბულგარეთს დარჩება, ხოლო მეჯიდიე-თაბიეს ციხე—რუმინიას. ამას გარდა გამოსწორდება ბულგარეთ-რუმინიის საზღვარი, სილისტრიიდან დაწყებული ზღვის პირამდე. რუსეთის დიპლომატია ცდილობს, რომ ბულგარეთმა დათმობილ ადგილებში ფული მიიღოს.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

9—10 თებერვალი.

**საზღვარ-გარეთ**

**სტამბოლი.** მსოფლიო საპატრიარქომ დაადგინა რომანოვთა სახვარეულოს დღესასწაულზე წარმომადგენლად გაგზავნოს ვატოპედს (?) მონასტრის ბერი იაკობი.

**ლონდონი.** რეიტერს პეკინიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ ქვრივი დედოფალი გარდაიცვალაო.

**ტოკიო.** მინისტრ-პრეზიდენტმა დეპუტატთა და ზედაპალატის წევრების წინაშე სიტყვა წარმოსთქვა. მინისტრმა განაცხადა, რომ იგი იხელმძღვანელებს კონსტიტუციონალისტთა პროგრამით და საფინანსო პოლიტიკაში საინჯოს კაბინეთის გზას დაადგებაო. გარდაიცვალა სიმუმურა, რომელმაც ხელი შეუწყო იაპონიის და რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულების დადებას.

**პეკინი.** 7 თებერვალს ლუკოუსიაოს ჯარმა, პეკინის მახლობლად, არეულობა მოახდინა. მცხოვრებთა შორის შარშანდელმა მღელვარებამ იჩინა თავი.

**ლონდონი.** სუფრაჟისტებმა ბევრს საფოსტო ყუთებში მოსპეს დიდ ძალი კორესპონდენცია. პანკჰ[illegible]სტო მიტინგზე ახალ თავდაცემას იმუქრებოდა. მისი სიტყვით, მთავრობა ვერ ჰბედავს მის შეპყრობას, რადგანაც იცის, რომ იგი ციხეში შიმშილით ამოიღობს თავს. გაზეთების ცნობით, მინისტრებს პოლიციელნი იცავენ, რადგანაც ხმა გავრცელდა, რომ სუფრაჟისტები კაბინეთის ზოგიერთ წევრის შეპყრობას აპირებენო.

**მექსიკო.** მექსიკოს პრეზიდენტი მადერო და ვიცე პრეზიდენტი სუარეცი ციხეში მიჰყავდათ. მზად მოინდომეს გაქცევა. ორივენი დახოცეს. მოკლულია ორი თავდამსხმელი.

**რ უ ს ე თ ი.**

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის ჯუნკოვსკის თავმჯდომარეობით დაიწყო მუშაობა ნაძირალებთან ბრძოლის კომისიამ.

**პეტროპავლოვსკი** (კამჩატკა). გეზოვის სოპკაში ნაცარმა ამოხეთქა.

**პეტერბურგი.** მიწათ-მოქმედების მთავარმა სამმართველომ და მართლმადიდებელ სარწმუნოების უწყებამ შუამდგომლობა აღძრეს მინისტრთა საბჭოს წინაშე იმპერატორ ალექსანდრე მესამის ფონდის გასაძლიერებლად 1 მილიონი მანეთით, რათა აზიის რუსეთის ართლმადიდებელთა ეპარქიების საჭიროებანი დაკმაყოფილებული იყოს.

**მოსკოვი.** დაიჭირეს უტრო როსიი“ № 19. წერილისათვის „ფინლიანდიის სოც.-დემოკრატებს რუსებისაგან“. რედაქტორი 129 მუხ. ძალით სამართალშია მიცემული.

**მოსკოვი.** გაიხსნა საკომერციო ინსტიტუტი, რომელიც დაარსებულია საკომერციო ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოების შეწირულებით.

**პეტერბურგი.** სასოფლო-სამეურნეო მუზეუმში გაიხსნა საცდელ საქმეთა გამოფენა. წარმოდგენილია 86 საცდელი დაწესებულება.

**სმოლენსკი.** მოვიდა მოგზაური ქალი ჰუმფრისი. მან სანაძლევო დადო ნიუ-იორკის სპორტსმენთა კლუბთან, რომ 4 წლის განმავლობაში ფეხით შემოუვლის ქვეყნიერებას. სანაძლევო 10.000 დოლარია. ნიუ-იორკიდან — სმოლენსკამდე 15 თვეს მოსდომნია.

# თეატრი და ხელოვნება

**სახაზინო თეატრი.** დღეს, 12 თებერვალს, სახაზინო თეატრში დასდგამენ ოპერას „ვერტერი“. ჩვენი ახალგაზრდა მომღერალი ნანობაშვილი (მიშელ დარიალი), მეორე გასტროლად გამოვა დღეს ამ ოპერაში.

**ნაძალადევის თეატრი.** შაბათს, 9 თებერვალს, ქ. თ. გოგოლაშვილის, ბ-ნთ კ. ყიფიანის და ს. სვიმონიძის მონაწილეობით წარმოადგინეს ვ. გუნიას ისტ. დრ. „და-ძმა“.

ქ. გოგოლაშვილმა (მარინე) როლი სუსტად იცოდა, მაგრამ ამ ნაკლს მოხდენილის მოქმედებით, დიქციითა და მიმიკით ავსებდა.

ბ-ნთ ყიფიანმა (ოტია) და სვიმონიძემ (გაიოზი) დაგვიმტკიცეს, რომ მოვხუცდით, მაგრამ ძველი იერი და სურვილი როლის კარგად ასრულებისა ჯერ არ დაგვკარგვიაო.

შესაფერი გრძნობით ასრულებდნენ თავის როლებს ქ. გოგოშვილისა (გადია), ბ-ნნი სვანაძე (ადამია), კუდუხაშვილი (გიორგი) და გაბინაშვილი (ფაშა). კარგი იქმნებოდა ამ უკანასკნელს პარტერში ნაკლებ ეცქირნა. **მ.**

# წერ. რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ჩემს რეცენზიაში გამიშვია ჩემდა უმებლიეთი შეცდომა და გთხოვთ შეასწოროთ. იქა სწერია: 26 დეკ. შმაევსკის თიატრში „მოგზაური“-ს დასმა წარმოადგინა **„როს ნადიმობდნენ“** შ. დადიანისა. **უნდა იყოს: „ცხოვრების მეჯლისზე ანუ ნადიმობის დროს“** თარგმანი რუსულით

ქ. ბათუმი **ტრ. ი—ძე.**

მოწყალეო ხელმწიფევ,
ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ წერილს თქვენი პატივცემული გაზეთის უახლოესს ნომერში და ამით საშუალება მოგვცეთ უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ჟურნალ „მოსავლის“ რედაქციას, რომელმაც კეთილ ინება და უსასყიდლოთ დაუთმო წარსული წლის ყველა ნომრები და მიმდინარე წლისასაც უსასყიდლოთვე უგზავნის ქართულ სამეცნიერო აგრონომიულ წრეს, არსებულ ს.-პეტერბურგის სასოფლო-სამეურნეო კურსებთან. აგრეთვე უღრმეს მადლობას უცხადებთ სტ. გრეთეოზ რამიშვილს, რომელმაც კავკასიაში ყოფნის დროს შესრულა სამეცნიერო წრის დავალებანი და სტ. ბიძინა ოქროპირიძეს, რომელმაც თავის ხარჯით გამოუწერა ჟურნალი „კლდე“ და გაზეთი „ქართლი“.

პატივისცემით ქართული სამეცნიერო აგრონომიულ წრის თავმჯდომარე
**გიორგი გელაშვილი.**

მოწყალეო ხელმწიფევ,
ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ პატივცემულთ ზესტაფონის მცხოვრებთ გ. ბოლქვაძეს პ. კალატოზს და ე. კვირიკაშვილს, რომელთაც კეთილი ინებეს და უფასოთ შემოგვწირეს ელექტრონული განათება ქართ. შორის წ.-კ. განყოფილების წიგნთ-საცავ სამკითხველოსთვის.

**გამგეობა ზესტაფონის განყოფილებისა.**

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.**

# მატარებელთა მიმოსვლა

**(ზ ა მ თ რ ო ბ ი თ).**

**15 ოქტომბრიდან.**

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის,**

**ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო** № 8, საღ. ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს 20 წ.

**ბათომისაკენ: სახ.** № № 107, დილ. 4 ს 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

**ბაქოსკენ: ნარევ.** № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

**ერევანისკენ: სახ.-საბ.** № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

**ჯულფისკენ: საფ.** № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

**ყარსისკენ: სახ.-საბ.** № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 9/10 ნ. ნაშ. 3 ს. 17 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან. ნარევ.** № 107, ღამ. 3 ს. 3 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № [illegible], საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს 55 წ.

**ბათომიდან: სახ.** № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

**ერევნიდან: ს. ხ.-საბ.** № 83;7, ღ. 5 ს 28 წ

**ყარსიდან: სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

**ჯულფიდან: სახ.** № 43. დილ. 8 ს.

**ბორჯომიდან: სახალ.** № 9|10 ნ, დილ. 11 ს. 22 წ.

**მიხაილოვიდან სურამში სახ.-საბარგ.** № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

**სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ.** № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.**, № 68, საღ: 6 ს. 38 წ. **სახ.საბ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

**ქუთაისიდან რიონში: სახ.** № 77 დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ **საბ.** 1, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 84 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

**რიონიდან ქუთაისს: სახ.** № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

**ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო** № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

**შორაპნიდან ქუთაისს: სახ.** № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

**ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ.** № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

**სამტრედიიდან ფოთში; სახ.** № 3 п შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 п, საღ 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п, საღ. 7 ს 59 წ. **სახ.** № 25 г ნაშ. ს. 18 წ.

**ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ.** № 18, ღამ. 1 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ქობულეთ.-დან ბათომს: სახ.** № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

**ნატანებიდან ბათომს: სახ** № 17, ნაშუადღ. 5 ს. 20 წ.

**ბათუმიდან ქობულეთში. სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომიდან ნატანებს: სახ.** № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ

**მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ.** № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

**ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ.** № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

**პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.**

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას მატარებლის ნომრები 3 და 4.

# უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედბლინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

# ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს. ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდია, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.


# განცხადებანი

სილამაზე უმაღლეს ხარისხამდე!

№ 4711
ვარდის ფერი გროლის
= საპონი =
კანსა და პირი-სახეს ისეთს სინაზესა, განწყობილებასა და ელფერს აძლევს, რომელიც ნამდვილ სილამაზის არსებით თვისებად ითვლება.

ფერდ. მიულგენსი.

პარფიუმერია № 4711.
კიოლნი ნ. რ. რ ი გ ა.

დაარსებული 1792 წ.

ერთი ნაჭერი 25 კ ყველგან იშოვება.



Мотцл. 529935 529954

1019

ახლად გაიხსნა

# სამშობიარო თავშესაფარი

მ. ლ. არშანინისა და ს. ს. ხატიევისა

ფეხმძიმეთა და მშობიარეთა მიღება სწარმოებს ყოველ-დღე. არის საზოგადო და ცალკე ოთახებიც. მასსაჟი და ყვავილის აცრა, საბებიო საქმე და დედათა სქესის ავადმყოფთა მიღება და აგრეთვე ძიძათა შემოწმება ყოველ-დღე სწარმოებს დილის 11—12 საათამდე. თავშესაფარის გამგე

ექიმი ა. გ. ავეტისოვი.

ვაგზლის ქუჩა № 12, ბინა 3. 1018

# ფეხსაცმელები

თომა დ. ჯანყარაშვილის

მაღაზია-სახელოსნოში.

მუხრანის ქ. № 2.

ყოველ ნაირი: საკუთარი და პეტერბ.



მეხანიკური ნაწარმოები. 30.

# [illegible] პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606“ და „914“

11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ი. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგახაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

ექიმი ქალი გ. ლ. რენიგერ-არეშევისა 6—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1004 დოქტორი ბ. ა. ნ[illegible]გახარდიანი.

მუხრანის კერძო

# სამკურნალო

საწოლი კრაოტებით.

19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, ტელეფ. № 370.
დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ

| ექიმების მიერ: | | დილით: |
|---|---|---|
| შინაგანი, ბავშვთა სნეულებანი, მეზობლ. | სპექტიორი გ. მ. | $8^1/_2$—$9^1/_2$ ს. |
| | იაშვილი ა. ო. | 11—12 ს. |
| | აბაკელია ი. კ. | 12—1 ს. |
| | ლოლობერიძე გ. მ. | $12^1/_2$—$1^1/_2$ ს. |
| სადოსტაქრო სნეულებანი: | გრიგორიანი ა. ი. | 11—12 ს. |
| | მელკონიანი გ. ა. | 12—1 ს. |
| | ჯაში ი. ი. | $9^1/_2$—$10^1/_2$ ს. |
| საშარდე და გამრავლ. ორგან. სნეულ. | გრიგორიანი ა. ი. | 11—12 ს. |
| სნეულებ. საშოსი და საბებო. | ექიმი-ქალი საყვარელიძე 11—12 ს. | |
| | ექიმი-ქალი ტერ-დავიდოვისა | 11—12 ს. |
| | ლოლობერიძე | $12^1/_2$—$1^1/_2$ ს. |
| სნეულ. ყურ., ყელის და ცხვ. | მიკირტუმოვი | 10 11 ს. |
| ცუდი სენი და კანის სნეულ. | შაპელნიკოვი გ. ი. | $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. |

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. შეშხაპუნება წამლებისა „606“ და „914“, ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1581

სამკურნალო გოგირდის აბანო

„ფ ა ნ ტ ა ზ ი ა“

ვორონცოვის ქ. ტროიცკის ეკლესიასთან ლიანდაგზე **ახლად შეკეთებული** მოწყობილება ყოველ მხრივ და წესიერად.

კომფორტი, ელექტრონული განათება. გვაქვს სხვა და სხვა ფასიანი ნომრები და აგრეთვე საზოგადო სათავად-აზნაურო განყოფილება—30 კ.—ხოლო მამაკაცებისა—15 კ. ყველა ნომრებსა და განყოფილებაში ორ-ორი მილია $29^0/_0$ და $35^0/_0$, ცხელი და ცივი, გოგირდის სიმრავლე საუკეთესო საშუალებაა ქარებისა, ბუასილისა, სისხლნაკლებულობისა და სხვა დაძველებულ სნეულებათა. გვაქვს მოწმობა ტფ. სამხ. ლაბორ. ანალიზისა. გვყავს გამოცდილი მექისე ქალები და კაცები. მსურველთ შეუძლიანთ აბონიმენტები შეიძინონ, ტელეფონი № 115. 16 4

# ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება შემდეგი წიგნები:**

| | |
|---|---|
| ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა. . . . ფ. 50 კ. | Народная медицина въ Закавказскомъ Краѣ . . 70 „ |
| ბავშვის მოვლა ნათაძისა . 25 „ | Эскизы и Этюды. И. Хонэли 1 მ. |
| „ „ კომბიხა. ნათ. მაჩაბ. 40 „ | **მიღებულია ახალი წიგნები:** |
| დედაკაცის ხვედრი. . . 15 „ | Памятная записка объ Иверскомъ монастырѣ на Аѳонѣ . . . . . . 50 „ |
| მშობლები და მათი შვილები—როგორნიც უნდა იყვნენ და ზრდიდნენ . . . . 30 „ | Нетронутый уголокъ. Ведребисели. . . . . 60 „ |
| ჩვენს ქალებს. შტარის წერილები . . . . . 20 „ | მცენარენი და ცხოველები ვ. რცხილაძისა . . . 40 „ |
| სამი მსხვერპლი. დ. კარიჭაშვილისა . . . . . 30 „ | ვლადიმერ სარ ალექსი-მესხიშვილი. ბიოგრაფია, შედგენილი დ. კასრაძისა 50 „ |
| აკაკის საიუბილეო კრებული. . . . . . 25 „ | |

**ადრესი:** Тифлисъ О-ва распр. грамотности сред. гр. нас. 1141

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი, ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა, თევზის მრეწველნი

ძმ. ძევეღოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

1131

გამოსული ქერჩის სელიოტკები, და ყოველგვარი კონსერვები.

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზია მოხარშული დოში, ზურგიელი, და ყოველგვარი
✦ შავი ხიზილალა ✦


ტფილისი მუხრანის ქუჩა № 12 სტამბა „შრომა“.